MES 5 23 0001300371

04/10/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 20 სექტემბერს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888

Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია -- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ნინო ხაჩიძე
- თამარ გიორგობიანი
- ხათუნა წერეთელი
- ნინო ბოკუჩავა
- მედეა ზურაბიშვილი
- ალექსანდრე კეკენაძე
- ქეთევან ჭუჭულაშვილი
- თამილა გრძელიშვილი
- ქეთევან ღვანიძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია
დირექტორი - ნესტანი აბსავა

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი
დირექტორი - მამუკა ჭყონია
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნატალია ბარათელი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის

გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

რადგან საბჭოს სხდომას დასაწყისში არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი მარიამ ქუჩულორია, სხდომის მდივნად განისაზღვრა ტიტე ბოლქვაძე.

დღის წესრიგი:
1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის "საექთნო საქმის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის "აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდა.

პირველი საკითხი: შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა მარიამ ქუჩულორია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ხაჩიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პრეზენტაციას წარადგენდა თავად, ასევე, განათლების და დარგის ექსპერტებთან ერთად. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა თითოეული სტანდარტი. ხარვეზები არ დაფიქსირებულა, გაიცა შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

მისი განცხადებით, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის მაძიებლად ცნობის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 30 მაისის N611528 ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულებამ გადაიხადა ავტორიზაციის საფასური. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 ივნისის MES 2 23 0000705118 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება და ვიზიტის განხორციელება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიაში (მის: საქართველო, ქ. ზუგდიდი, შ. კიტიას ქუჩა N9).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. მიმდინარე წლის 12, 13 და 14 ივლისს განხორციელდა კოლეჯში ვიზიტი. დოკუმენტაციის შესწავლისას გამოირკვა, რომ დაწესებულება დაფუძნდა 2016 წლის 5 დეკემბერს და 2017 წელს გაიარა ავტორიზაცია. განმეორებითი ავტორიზაციის ფარგლებში კოლეჯს სურს მოიპოვოს 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. მათგან ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულებამ დაიმატა 2019 წელს. ამ ეტაპზე, კოლეჯს მხოლოდ ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ ჰყავს პროფესიული სტუდენტები. ვიზიტის ფარგლებში, დღის წესრიგის შესაბამისად, განხორციელდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვა, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესის შესწავლა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების, ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტის შეფასება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება და შესაბამის პირებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება და პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, პროცესების შეფასება და გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება; ვერიფიკაციის შედეგების შესწავლა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. ყოველდღიური შეხვედრების ფარგლებში, ეტაპობრივად ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან.

ვიზიტის ბოლოს, დაწესებულების წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ მიეწოდა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში წინა ვიზიტი განხორციელდა 2019 წელს, ძველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების პირობებში. შესაბამისად, იმ პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება არ მომხდარა. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

ვიზიტის ფარგლებში გაიცა შემდეგი შესაბამისობის რეკომენდაცია:

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია:
4. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროფესიულ სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებები და გამოიკვეთა შემდეგი:
ერთ პროფესიულ სტუდენტს დირექტორის 2022 წლის 04 ნოემბრის N02/08 ბრძანებით მიენიჭა სტუდენტის სტატუსი, თუმცა ამ პირთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის 14 ოქტომბერს. აღნიშნული დასტურდება რეგისტრაციის ჟურნალითაც.

დირექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის N02/15 ბრძანებით, თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, მხოლოდ 1 აპლიკანტს მიენიჭა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, თუმცა 2021 წლის მიღების ფარგლებში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს, რომლებსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მიენიჭათ დირექტორის 2021 წლის 08 ოქტომბრის N02/12 ბრძანებით, პირად საქმეში უდევთ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ბრძანების ამონაწერები შემდეგი რეკვიზიტებით N02/15 – 29.10.2021. ამასთან, ამ პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო ხელშეკრულებები გაფორმებულია 1-ელი ნოემბრის თარიღით. გამომდინარე იქიდან, რომ შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით ხელშეკრულება ძალაში შედის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების თაობაზე დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის მომენტიდან, მიზანშეწონილია პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულებების გაფორმება კოლეჯმა უზრუნველყოს ჩარიცხვის მომენტისთვის.

ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს N01/58 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და ვადები, რაც უნდა გაატაროს კოლეჯმა აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად. გეგმის თანახმად, დაწესებულება 6 თვის ვადაში მოახდენს საქმისწარმოებისათვის საჭირო პროცესების იდენტიფიცირებას/აღწერას/საქმისწარმოების წესის გადამუშავებას, შეიმუშავებს საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთა სამუშაო აღწერილობებს, საქმისწარმოების მიმართულებით დამატებით აიყვანს კადრს და მოაწესრიგებს პროცესის თანმდევ დოკუმენტაციას, გადაამზადებს საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს საქმისწარმოების ახალი წესის შესაბამისად, მათ შორის eFlow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების აღმოფხვრის სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება. აღნიშნული ინდიკატორი ასევე გავლენას ახდენს 5.2 სტანდარტზე.

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

2. რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს პერსონალის ფუნქციების გადაფარვას. მაგალითად:
სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშგების პროცესს ხელმძღვანელობს, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი, რომელიც ამზადებს ანგარიშს. მეთოდოლოგიისგან განსხვავებით, ინტერვიუირებით დადგინდა, რომ ანგარიშგების პროცესს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ახდენს ანგარიშის შემუშავებას და აქტიურადაა ჩართული მონიტორინგის პროცესში.

დირექტორის მოადგილისა და სამეურნეო სამსახურის მენეჯერის ერთ-ერთი ფუნქციაა პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზნით მატერიალური ბაზის შესყიდვაში მონაწილეობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო სახარჯი მასალის ჩამონათვალის გაცნობა, მოდულის სწავლების დაწყებამდე სახარჯი მასალის შესყიდვა ბუღალტერთან ერთად და სხვა. კოლეჯის დებულებითა და სამუშაო აღწერილობით, ვებგვერდის მართვა დაწესებულების IT მენეჯერს ევალება, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ვებგვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირი კოლეჯის ბუღალტერია, რომელსაც აღნიშნული კომპეტენცია გააჩნია.

სამუშაო აღწერილობის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ საქმისწარმოების მენეჯერი აწარმოებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრს, ხოლო სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის (სტუდენტები, მსმენელები, განმახორციელებელი პირები და სხვა) კანონმდებლობით განსაზღვრული ვადებში, ელექტრონული მართვის სისტემაში ასახვას, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში რეესტრში ინფორმაციის შეტანა ევალება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციებში გარდა კოლეჯში მიმდინარე პროცესების შეფასებისა, არის, აგრეთვე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა შიდა სამუშაო ჯგუფების/კომისიების მუშაობაში, რომლის მონიტორინგსაც შემდეგ თვითონ ახორციელებს. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს დავალებული აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის ასახვა, როდესაც აღნიშნული ფუნქცია დაკისრებული აქვს სასწავლო პროცესის მენეჯერს და საქმისწარმოების მენეჯერს. ფუნქცია-მოვალეობებთან მიმართებით, ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და დადგინდა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები. რიგ შემთხვევაში პერსონალის ფუნქციათა გადაფარვასთან დაკავშირებით, კოლეჯის წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, რომ გაითვალისწინებენ ექსპერტთა შეფასებას და ფუნქციებს გაწერენ იმგვარად, რომ არ მოხდენს ფუნქციათა გადაფარვა.

ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს N01/58 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთნ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და ვადები, რაც უნდა გაატაროს კოლეჯმა აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად. გეგმის თანახმად, დაწესებულება 6 თვის ვადაში ახლებურად გაიაზრებს სტრუქტურული ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილებას, ასევე მოახდენს პერსონალის გადამზადებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების აღმოფხვრის სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება.

3. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მონაწილეობს პერსონალის შერჩევის მიზნით შექმნილ კომისიის მუშაობაში. კოლეჯის დირექტორსა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრებით, ასევე, დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს გამოცხადებული ვაკანტური ადგილების ფარგლებში შესარჩევი კომისიის მუშაობაში. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს დავალებული აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის ასახვა.

ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს N01/58 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთნ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და ვადები, რაც უნდა გაატაროს კოლეჯმა აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად. გეგმის თანახმად, დაწესებულება 6 თვის ვადაში ახლებურად გაიაზრებს სტრუქტურული ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილებას, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციასა და როლს დაწესებულების საქმიანობაში, ასევე მოახდენს პერსონალის გადამზადებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების აღმოფხვრის სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას:
3. მედდის პოზიციაზე დასაქმებულ პირს განათლება უცხოეთში აქვს მიღებული, თუმცა მისი დიპლომი აღიარებული არ არის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს N01/58 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთნ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და ვადები, რაც უნდა გაატაროს კოლეჯმა აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად. გეგმის თანახმად, დაწესებულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 6 თვის ვადაში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დოკუმენტის აღიარების პროცედურებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების აღმოფხვრის სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება.

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე:
1. დაწესებულებამ არ წარმოადგინა პერსონალის შეფასება და ჩატარებული თვითშეფასების ანალიზის დოკუმენტი. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა 2023 წელს დამტკიცდა და ჯერ შეფასება არ ჩატარებულა. ასევე განმარტეს, რომ თვითშეფასების შედეგებისა და შეფასების შედეგების ანგარიშს პროფორიენტაციისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი პერსონალის საქმიანობის შეფასების განხორციელების შემდეგ, შეაჯამებს და წარუდგენს დირექტორს.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პერსონალის კმაყოფილების კვლევის შევსებული კითხვარები, თუმცა არ წარმოუდგენია კვლევის შედეგების ანგარიში. გასაუბრებით ასევე

დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პერსონალის საჭიროებათა კვლევას ზეპირი ფორმით აკეთებს, ხოლო შედეგებს მოახსენებს დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით. მიზანშეწონილია დაწესებულებამ რეგულაციის შესაბამისად განახორციელოს კვლევები/თვითშეფასებები და შეიმუშაოს ანგარიშები. ასევე, ზეპირი გამოკითხვის ნაცვლად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ შეიმუშაოს კითხვარის ფორმები, აწარმოოს გამოკითხვები და შეიმუშაოს ანგარიშები.

ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს N01/58 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთნ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და ვადები, რაც უნდა გაატაროს კოლეჯმა აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად. გეგმის თანახმად, დაწესებულება 6 თვის ვადაში განაახლებს თანამშრომელთა თვითშეფასების და კმაყოფილების კვლევის კითხვარებს, ჩაატარებს თანამშრომელთა თვითშეფასების და კმაყოფილების კვლევას და მოამზადებს შედეგების ანგარიშებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების აღმოფხვრის სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

1. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვა და დოკუმენტაციის აღრიცხვა არასათანადოდ ხორციელდება.

- რიგ შემთხვევაში არ ხდება ან არასწორად ხდება დოკუმენტაციის აღრიცხვა სათანადო ჟურნალებში.
- შიდა ჯგუფებისა და კომისიების შეხვედრების მუშაობის დამადასტურებელი ოქმები ხელმოუწერელია.
- 2022 წლის 08 აგვისტოს დირექტორის N02/06 ბრძანებით კურსდამთავრებულის სტატუსი მიენიჭა აღმზრდელის 7 პროფესიულ სტუდენტს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელის“ კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების კომისიის სხდომის ოქმი N07/07-08.08.2022, ხოლო მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების სარეგისტრაციო (დიპლომების) ჟურნალში საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმის ნომრად N07/08 – 08.08.2022 - არის გატარებული. დაწესებულებამ წარმოადგინა გაცემული დიპლომის ასლები, რომლებშიც საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმის ნომრად N07/08 არის გაწერილი. ასევე, დიპლომების სარეგისტრაციო ჟურნალში ერთი კურსდამთავრებული ორჯერ არის გატარებული.
- 2021 წლის მიღების ფარგლებში დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის N02/12 ბრძანებით ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაცია გაწერილი უნდა იყოს დანართში, თუმცა ბრძანებას დანართი არ ახლავს. ასევე, 2021 წლის 29 ოქტომბრის N02/15 ბრძანებით დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, 1 აპლიკანტს მიენიჭა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, თუმცა ბრძანების დანართში 10 პირის პირადი მონაცემები არის შეყვანილი. ანუ იმ სტუდენტთა მონაცემებიც არის შეყვანილი, რომლებიც დირექტორის 2021 წლის 8 ოქტომბრის N02/12 ბრძანებით ჩაირიცხნენ.
- 2021 და 2022 წლის მიღების ფარგლებში, თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, თითო-თითო პირს მიენიჭა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ბრძანებაში არცერთ პირს პირადი ნომერი გაწერილი არ აქვს.

- დირექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის N02/15 ბრძანებით, თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, მხოლოდ 1 აპლიკანტს მიენიჭა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, თუმცა 2021 წლის მიღების ფარგლებში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს, რომლებსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მიენიჭათ დირექტორის 2021 წლის 08 ოქტომბრის N02/12 ბრძანებით, პირად საქმეში უდევთ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ბრძანების ამონაწერები შემდეგი რეკვიზიტებით N02/15 – 29.10.2021. ამასთან, ამ სტუდენტებთან სასწავლო ხელშეკრულებები გაფორმებულია 1-ელი ნოემბრის თარიღით.
- ერთ პროფესიულ სტუდენტს დირექტორის 2022 წლის 04 ნოემბრის N02/08 ბრძანებით მიენიჭა სტუდენტის სტატუსი, თუმცა ამ პირთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის 14 ოქტომბერს. აღნიშნული დასტურდება სარეგისტრაციო ჟურნალითაც.
- ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევაში ბრძანებების ატვირთვა ხდება დაგვიანებით.

ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს N01/58 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთნ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და ვადები, რაც უნდა გაატაროს კოლეჯმა აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად. გეგმის თანახმად, დაწესებულება 6 თვის ვადაში მოახდენს საქმისწარმოებისათვის საჭირო პროცესების იდენტიფიცირებას/ აღწერას/საქმისწარმოების წესის გადამუშავებას, შეიმუშავებს საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთა სამუშაო აღწერილობებს, საქმისწარმოების მიმართულებით დამატებით აიყვანს კადრს და მოაწესრიგებს პროცესის თანმდევ დოკუმენტაციას, გადაამზადებს საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს საქმისწარმოების ახალი წესის შესაბამისად, მათ შორის eFlow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენების მიმართულებით, ჩატარდება გამოცემული ბრძანებების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში დაიწერება ბრძანება/ბრძანებები ტექნიკური უზუსტობების აღმოსაფხვრელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.1 ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების აღმოფხვრის სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება.

2. ვიზიტის ფარგლებში ელექტრონული საქმისწარმოების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ კოლეჯის მიერ Eflow ძირითადად გამოიყენება წერილების მისაღებად და გასაგზავნად, ბრძანებების შესამუშავებლად, თუმცა ბრძანების გამოცემისთანავე არ ხდება მათი Eflow-ში გატარება ან რეზოლუციის დადება. ასევე, Eflow-ში ტარდება მხოლოდ განცხადებების ნაწილი. მაგალითად, არ ტარდება განცხადებები, რომელსაც აპლიკანტი წარადგენს ჩარიცხვისთვის წარსადგენ დოკუმენტებთან ერთად და სხვა.

ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს N01/58 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია კონკრეტული აქტივობები და ვადები, რაც უნდა გაატაროს კოლეჯმა აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად. გეგმის თანახმად, დაწესებულება 6 თვის ვადაში მოახდენს საქმისწარმოებისათვის საჭირო პროცესების იდენტიფიცირებას/ აღწერას/საქმისწარმოების წესის გადამუშავებას, შეიმუშავებს საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთა სამუშაო აღწერილობებს, საქმის წარმოების მიმართულებით დამატებით აიყვანს კადრს და მოაწესრიგებს პროცესის თანმდევ დოკუმენტაციას, გადაამზადებს საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს საქმისწარმოების ახალი წესის შესაბამისად, მათ შორის eFlow-ს

ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენების მიმართულებით, ჩატარდება გამოცემული ბრძანებების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში დაიწერება ბრძანება/ბრძანებები ტექნიკური უზუსტობების აღმოსაფხვრელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.2 ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების აღმოფხვრის სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ინფორმაციის ტექნოლოგია"

შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.2. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად ვერ მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. ასევე, ერთი მოდულის „კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა“ განმახორციელებლად განსაზღვრულია მათემატიკოსის კვალიფიკაციის მქონე პირი, რომლის პირადი საქმითა და მასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ის ვერ შეძლებს აღნიშნული მოდულის სწავლებას.

2.4. დარგის ექსპერტის შეფასებით, ამ ეტაპზე, დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები ვერ იქნება სრულად გამოყენებული, რადგან კოლეჯს არ აქვს დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული აღჭურვილობის ნაწილი.

ვიზიტის ფარგლებში გაიცა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია:

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა:

1. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით გამოირკვა, რომ სამოქმედო გეგმით გაწერილ აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები არ ავსებენ ანგარიშგების ელექტრონულ ფორმას. ამასთან ანგარიშგების პროცესს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ახდენს ანგარიშის შემუშავებას და აქტიურადაა ჩართული მონიტორინგის პროცესში. მეთოდოლოგიისგან განსხვავებით, ინტერვიუირებით ასევე დადგინდა, რომ ჯერ ხორციელდება სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულების შეფასება/მონიტორინგი და შემდეგ ხდება ანგარიშის შემუშავება. ამასთან, ანგარიშგება ხორციელდება არა წელიწადში ერთხელ, არამედ მუშავდება შუალედური ანგარიშიც. მიზანშეწონილია მეთოდოლოგიის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს პირი, რომელიც უხელმძღვანელებს ანგარიშგების პროცესს. ასევე, სამოქმედო გეგმით გაწერილ აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ ანგარიშების წარდგენა პასუხისმგებელი პირისთვის. სასურველია მეთოდოლოგიაში შევიდეს ცვლილება და პროცედურები გაიწეროს იმგვარად, რომ ჯერ განხორციელდეს მონიტორინგი და შემდეგ ანგარიშგება - ანგარიშის შემუშავება. ამასთან, არსებული პრაქტიკა მოერგოს მეთოდოლოგიას და გაიწეროს შუალედური ანგარიშის შემუშავების ვალდებულებაც.

3. აკადემიის ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა (2023-2030) შეფასდა სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით გაწერილი პროცედურის შესაბამისად და გამოიკვეთა, რომ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმა არ მოიცავს შესავალს (სტრატეგიის მოკლე მიმოხილვას), არსებული ვითარების მიმოხილვას, მოკლე ისტორიას და წარსული გამოცდილების ანალიზს. შესაბამისად, მიზანშეწონილია კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდეს მეთოდოლოგიით გაწერილი სტრუქტურის შესაბამისად, ან პირიქით, მეთოდოლოგიაში შევიდეს ცვლილება და მოერგოს 7 წლიან სტრატეგიული გეგმის სტრუქტურას.

ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტით ერთ-ერთ ინდიკატორად განსაზღვრულია, რომ დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს განხორციელების ვადები, რომელსაც სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა არ

ითვალისწინებს ძირითადი ინფორმაციის ნაწილში, თუმცა თითოეული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში, განსაზღვრული ამოცანები ითვალისწინებენ განხორციელების ვადებს. შესაბამისად, მიზანშეწონილია განხორციელების ვადების შესახებ ჩანაწერს ითვალისწინებდეს მეთოდოლოგია. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული 2023 წლის სამოქმედო გეგმა შეფასდა სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით გაწერილი პროცედურის შესაბამისად და გამოიკვეთა, რომ გაპარულია რამდენიმე შეუსაბამობა. კერძოდ, სამოქმედო გეგმით ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია „ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება“ 2023 წლის მაისის თვეში, როდესაც სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2023 წლის 26 იანვარს. ასევე, სამოქმედო გეგმით ორ აქტივობას (1.2.5. და 1.3.1.) ვადები გაწერილი არ აქვს. სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმაში ორი სტრატეგიული მიზანი (N2, 4) და ოთხი ამოცანა (2.1; 3.3, 4.1; 6.1) ერთნაირად ფორმულირებული არ არის. სტრატეგიული განვითარების გეგმაში მეექვსე სტრატეგიულ მიზანში ორი ამოცანაა გაწერილი, თუმცა ერთი და იგივე ამოცანით, სამიზნე ნიშნულებით, პასუხისმგებელი პირებით და ვადებით, როდესაც სამოქმედო გეგმით მეორე ამოცანად სხვა არის გაწერილი. ასევე, სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმის ერთი ამოცანა (2.2.) აქტივობადაა გაწერილი. ზოგიერთი აქტივობის, ინდიკატორის ფორმულირებები სტილისტურად გამართული არ არის.
შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმაში შევიდეს ცვლილება და გასწორდეს არსებული შეუსაბამობები.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა:
1. დაწესებულების წარმომადგენლების (დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი) ინტერვიუირებით დადგინდა, რომ ანგარიშგება ხორციელდება არა წელიწადში ერთხელ, არამედ მუშავდება შუალედური ანგარიშიც. გამომდინარე იქიდან, რომ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წელიწადში ერთხელ განხორციელება არაეფექტურია, ვინაიდან გეგმის შესრულებიდან გადახვევის დაფიქსირება მოხდება გვიან, როცა უკვე შეუძლებელია შესწორებების შეტანა, მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ მეთოდოლოგია მოარგოს არსებულ პრაქტიკას და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განახორციელოს მინიმუმ წელიწადში ორჯერ.
ასევე, მიზანშეწონილია მეთოდოლოგიის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს პირი, რომელიც უხელმძღვანელებს ანგარიშგების პროცესს.

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია:
1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესაბამისად. მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესით განსაზღვრულია, რომ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების ჩარიცხვა განხორციელდება ტესტირების გავლის გარეშე, თუმცა დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, ასეთი შესაძლებლობა გაწერილი არაა. შესაბამისად, რეკომენდებულია ტესტირების გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობა აისახოს დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში მოითხოვონ ქართული ენის მოდულის (A2/B1) სწავლის შედეგების დადასტურება, კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროცედურების დაცვით; თუ პროფესიული სტუდენტი დაადასტურებს ქართული ენის მოდულის (A2/B1) სწავლის

შედეგებს, ის სასწავლო პროცესს იწყებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად ქართული ენის მოდულის (A2/B1) გავლის გარეშე;" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესითა და პირობებით განსაზღვრულია, რომ „შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე. დაწესებულება ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით". შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელი წესი შესაბამისობაში მოიყვანოს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. დაწესებულებას არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები არ ჰყოლია.

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება:

5. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრულია, რომ შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტები პერიოდულად საჭიროებს მოდიფიკაციას, ამიტომ, ყოველი ახალი ეტაპის დაწყების წინ, საჭიროა მოხდეს წინა გამოცდილებაზე დაფუძნებით კითხვარის რევიზია. არსებული ჩანაწერის და კვლევის ინსტრუმენტის შესწავლის საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ კითხვარები სრულად არ პასუხობს კვლევის მიზნებს. შესაბამისად, რეკომენდებულია შევიდეს ცვლილება და გამოიკვეთოს ის საკითხები, რა მიზანსაც ემსახურება სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება:

3. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავენ ჩანაწერს, რომლითაც ირკვევა, რომ კოლეჯის მიერ უნდა განხორციელდეს პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვა, მექანიზმები არ მოიცავენ ინფორმაციას გამოკითხვის მიზნების,
სამიზნე ჯგუფების, გამოკითხვის პერიოდულობის, ადმინისტრირების და სხვათა შესახებ. ამასთან, დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა 2021-2022 წლების დამსაქმებელთა კვლევის ანგარიში, რომელიც კოლეჯი ბარაკონის დამსაქმებელთა კვლევის ანგარიშის იდენტურია. შესაბამისად, დაწესებულებას არ განუხორციელებია თავისივე სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ანგარიშის შემუშავება.
მიზანშეწონილია დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწეროს პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვის/ კვლევის მეთოდოლოგია და შემდეგ მექანიზმების შესაბამისად უზრუნველყოს სამიზნე ჯგუფების გამოკითხვა და მათგან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ანგარიშების შემუშავება.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას:

შრომითი ურთიერთობის დამყარებამდე კანდიდატი ვალდებულია დაწესებულებას წარუდგინოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც კოლეჯის მიერ, დირექტორის ბრძანებით კონკრეტული ვაკანსიისთვისაა განსაზღვრული, თუმცა ვაკანსიის გამოცხადების გარეშე თანამშრომლის აყვანის შემთხვევაში, რეგულაციით არ იკვეთება, რომელი დოკუმენტების წარდგენა უწევს პირადი საქმის დასაკომპლექტებლად (CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატი თუ სხვა). შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული გაიწეროს კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტში.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბრძანებები, რომლებიც შინაარსობრივად ეხება იქამდე გამოცემულ ბრძანებებში შესატან ცვლილებებს, მარეგულირებელ დოკუმენტებსა თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში რეკვიზიტები დატანილია როგორც „დამტკიცებულია“. შესაბამისად, მიზანშეწონილია კოლეჯის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე, ბრძანების შინაარსის შესაბამისად გაიწეროს ინფორმაცია.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის“, „ბუღალტრული აღრიცხვის“, „ფრჩხილის მომსახურების“ და „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გაცემული საერთო რეკომენდაციები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად:

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ პროგრამის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წარდგინების საფუძველზე, პროგრამების დამტკიცების შესახებ დირექტორი გამოსცემს ბრძანებას. დირექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი გადაეცემა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რომელიც ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან და დასკვნას
წარუდგენს დირექტორს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე, პროგრამა სათანადო არგუმენტაციით უბრუნდება მის შემმუშავებელ ჯგუფს, ცვლილებების განხორციელებისათვის. სამუშაო ჯგუფის წარდგინების საფუძველზე, დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე. რეკომენდებულია სამუშაო ჯგუფის შემუშავებული პროგრამის პროექტი დამტკიცებამდე წარედგინოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის საფუძველზე დირექტორი დაამტკიცებს პროგრამას, ხოლო უარყოფითი დასკვნის პირობებში, პროგრამის პროექტი დაუბრუნდება სამუშაო ჯგუფს დასაკორექტირებლად.
რეგულაციით განსაზღვრულია, რომ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაძლებელია, განხორციელდეს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით. რაც გულისხმობს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 50%-ზე მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას. თუ საგანმანათლებო პროგრამა უნდა განხორციელდეს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით, ჯგუფმა უნდა გამიჯნოს, თუ რომელი შედეგ(ებ)ის მიღწევა განხორციელდება კოლეჯში და რომელი პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციაში;“ გამომდინარე იქიდან, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით ხორციელდება ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რეკომენდებულია ჩანაწერი გასწორდეს და მოერგოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილებას.

2.3.1. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულად არ მოიცავენ ინფორმაციას კვლევის სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის მეთოდოლოგიის შესახებ. შესაბამისად, რეკომენდებულია მარეგულირებელ დოკუმენტში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს კვლევის მეთოდოლოგია, გამოკითხვის პერიოდულობა და სხვა.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას:

1. თუ პროფესიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგის შეფასება ან/და შეფასების პროცესის მიმდინარეობა არასამართლიანად ჩათვალა, მან შედეგების გაცნობიდან ან/და შეფასების განხორციელებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს და მოითხოვოს სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების ხელმეორედ

ჩატარება ან შეფასების გადასინჯვა. სასწავლო პროცესის მენეჯერი საჩივრის მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის/ პრეტენზიის/პრაქტიკული შეფასების შედეგების განხილვას პროფესიულ სტუდენტთან და კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეხვედრაზე, თუმცა რეგულაციით არ იკვეთება, რა შედეგი შეიძლება დადგეს ამ შემთხვევაში, რამდენ ხანში ხდება შეფასების შედეგების გაცნობა. შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული გაიწეროს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრულია, რომ განმეორებითი ვერიფიკაცია საჭიროა, როდესაც ხდება ახალი შეფასების ინსტრუმენტების შექმნა ან არსებულ შეფასების ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა, ან შეიცვალა განმახორციელებელი პირი, ან რაიმე სხვა გარემოებაა გამოკვეთილი პროფესიული სტუდენტების/მოდულის განმახორციელებელი პირების კვლევის შედეგებით. მიზანშეწონილია დაწესებულების მიერ ვერიფიკაციის პროცესი განხორციელდეს ყოველწლიურად, მიუხედავად იმისა, შეიქმნება თუ არა ახალი შეფასების ინსტრუმენტი ან დადგება თუ არა, სხვა ახალი გარემოება.

ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა გარკვეული ტექნიკური შეუსაბამობები, რომლებიც საჭიროებს კორექტირებას. კერძოდ:

- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.“ კოლეჯის მიერ შემუშავებული პროგრამით კვალიფიკაციის მინიჭების ჩანაწერი გაწერილია მე-12 პუნქტით.
- პროგრამის ძირითად დოკუმენტში, პროგრამის შემუშავების ნაწილში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის მიერ ჩარჩო დოკუმენტის ინფორმაციის ტექნოლოგია/ის საფუძველზე შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგია. მოდულური პროგრამის ადაპტირება/ დანერგვისთვის სამართლებრივი აქტით შეიქმნა შიდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებელი პირები.“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სამუშაო ჯგუფში არ შედის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.
- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „მოდულის ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ქართული ენის კომპეტენცია დასტურდება შემდეგ შემთხვევებში: თუ პირს წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, ან პირს, რომელსაც გავლილი აქვს ქართულ ენაში მომზადების პროგრამა და წარმოადგენს დამადასტურებელ დოკუმენტს. მიზანშეწონილია დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერი შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები" - თან.

- სამოქალაქო განათლების მოდულის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობებში შეფასების მტკიცებულებების (მტკიცებულება/მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსთვის) ჩანაწერები არის გაწერილი.
- 2 მოდული სრულად და სწორად არ არის ადაპტირებული.

შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამაში შევიდეს ცვლილება და გასწორდეს არსებული შეუსაბამობები.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით
1. რეკომენდებულია ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულ აუდიტორიაში განთავსებული კომპიუტერების მონაცემების განახლება-გაძლიერება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა ოპერაციული სისტემების ინსტალაცია.
5. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელება არ იყოს მხოლოდ უზრუნველყოფილი მატერიალურად არსებული სასწავლო რესურსებით. შესაბამისად, სწავლის დაწყებამდე კოლეჯმა სასურველია ბიბლიოთეკაში განათავსოს საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ვერსიებიც.

ფრჩხილის მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად:
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა გარკვეული ტექნიკური შეუსაბამობები, რომლებიც საჭიროებს კორექტირებას. კერძოდ:

- პროგრამის მატერიალური რესურსის დანართში ზოგიერთ ინვენტარზე, აღჭურვილობასა და მასალა-ნედლეულზე დამატებითი მახასიათებლები გაწერილი არ არის და ჩანაწერები არ არის სრულად ადაპტირებული.
- პროგრამის ძირითადი დოკუმენტი არ არის სრულად ადაპტირებული. მაგალითად, პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - თმისა და სილამაზის მომსახურება / Hair and Beauty Services“.
- პროგრამის ძირითადი დოკუმენტი პროგრამის შემუშავების ნაწილში მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის მიერ ჩარჩო დოკუმენტის თმისა და სილამაზის მომსახურება/ის საფუძველზე შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფრჩხილის მომსახურება, მოდულური პროგრამის ადაპტირება/დანერგვისთვის სამართლებრივი აქტით შეიქმნა შიდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებელი პირები.“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სამუშაო ჯგუფში არ შედის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.
- პროგრამის ძირითადი დოკუმენტის მე-10 პუნქტი „სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება“ არ არის ადაპტირებული.
- პროგრამის ძირითადი დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების

შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 და მე-12 მუხლით გათვალისწინებული წესით.“ კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხი გაწერილია მხოლოდ მე-11 პუნქტში.

- პროგრამის ძირითად დოკუმენტში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „მოდულის ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ქართული ენის კომპეტენცია დასტურდება შემდეგ შემთხვევებში: თუ პირს წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, ან პირს, რომელსაც გავლილი აქვს ქართულ ენაში მომზადების პროგრამა და წარმოადგენს დამადასტურებელ დოკუმენტს. მიზანშეწონილია დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერი შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებთან“.
- რამდენიმე მოდული არ არის სრულად და სწორად ადაპტირებული. მაგალითად, მოდულის განხორციელების მიდგომები არ არის სრულად ადაპტირებული; პრაქტიკულ პროექტის და საწარმოო პრაქტიკის მოდულებში საათების განაწილების სქემაში ჯამური საათი სწორად არ არის გაწერილი; პირველადი გადაუდებელი დახმარების მოდულის დამხმარე ჩანაწერებში შეფასების მიმართულებიდან გამომდინარე გასაწერია მტკიცებულებები; სამოქალაქო განათლების მოდულის დამხმარე ჩანაწერებში „სწავლის შედეგის დისტანციურად განხორციელებისა და შეფასების შესაძლებლობა“ გაწერილია შეფასების მტკიცებულებები, როდესაც „მტკიცებულება/მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსთვის“ ცალკე არის გაწერილი.

შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამაში შევიდეს ცვლილება და გასწორდეს არსებული შეუსაბამობები.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. სასწავლო გეგმაში ვხვდებით რამდენიმე შეუსაბამობას, რომელიც საჭიროებს კორექტირებას:

- მოდულის „მეწარმეობა 1“ განხორციელების მიდგომები ითვალისწინებს პროგრამის მეორე ნაწილში განხორციელებას, თუმცა სასწავლო გეგმით პირველივე სასწავლო კვირიდან მე-4 კვირის ჩათვლით არის გაწერილი.
- მეწარმეობის მოდულს გაწერილი აქვს 75 საათი, როდესაც ორკრედიტიანია და გაწერილი უნდა იყოს 50 საათი, ხოლო სამოქალაქო განათლების მოდული სამკრედიტიანია და გაწერილი აქვს 50 საათი.
- სპეცხატვისა და ფერთა თეორიის მოდულსა და სასწავლო გეგმაში გაწერილი საათობრივი დატვირთვა არ არის ერთმანეთთან თანხვედრაში.

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად:

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა გარკვეული ტექნიკური შეუსაბამობები, რომლებიც საჭიროებს კორექტირებას. კერძოდ:

- პროგრამის ძირითადი დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით

ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 და მე-12 მუხლით გათვალისწინებული წესით.“ კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხი გაწერილია მხოლოდ მე-11 პუნქტში.

- პროგრამის ძირითად დოკუმენტში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „მოდულის ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ქართული ენის კომპეტენცია დასტურდება შემდეგ შემთხვევებში: თუ პირს წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, ან პირს, რომელსაც გავლილი აქვს ქართულ ენაში მომზადების პროგრამა და წარმოადგენს დამადასტურებელ დოკუმენტს. მიზანშეწონილია დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერი შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებთან“.
- რამდენიმე მოდული არ არის სრულად და სწორად ადაპტირებული.

შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამაში შევიდეს ცვლილება და გასწორდეს არსებული შეუსაბამობები.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. სასწავლო გეგმაში ვხვდებით რამდენიმე შეუსაბამობას, რომელიც საჭიროებს კორექტირებას:

- სასწავლო გეგმაში მოდულზე „ქართული ენა B1“ 375 საათის ნაცვლად, გაწერილია 340 საათი.
- სასურველია სასწავლო გეგმით იკვეთებოდეს საკონტაქტო საათების რაოდენობა.
- მეწარმეობის მოდულის განხორციელების მიდგომებში გაწერილია, რომ სასურველია განხორციელდეს პროგრამის მეორე ნახევარში, როდესაც სასწავლო გეგმით პირველი სასწავლო წლის პირველივე კვირიდან იწყება მისი სწავლება.
- რამდენიმე მოდულის შემთხვევაში, სასწავლო გეგმაში გაწერილი საათები არ შეესაბამება მოდულში გაწერილ საათებს.

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად:

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა გარკვეული ტექნიკური შეუსაბამობები, რომლებიც საჭიროებს კორექტირებას. კერძოდ:

- პროგრამის ძირითად დოკუმენტში მოდულს „სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდე ასაკში“ დაშვების წინაპირობაში გაწერილი აქვს მოდული „ბავშვის განვითარების თავისებურებები“, როდესაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტით, გაწერილია მოდული “დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში“.
- პროგრამის მე-13 პუნქტი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები

მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.“ კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხები გაწერილია მე-12 პუნქტში.

- პროგრამის ძირითად დოკუმენტში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „მოდულის ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ქართული ენის კომპეტენცია დასტურდება შემდეგ შემთხვევებში: თუ პირს წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ქართულ ენაზე და წარმოადგენს განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, ან პირს, რომელსაც გავლილი აქვს ქართულ ენაში მომზადების პროგრამა და წარმოადგენს დამადასტურებელ დოკუმენტს. მიზანშეწონილია დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერი შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებთან“.
- სასწავლო გეგმით „მეწარმეობა 3“ მოდულისთვის გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა გამომდინარეობს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტიდან, თუმცა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოდულის საათობრივი დატვირთვა მცირედით აცდენილია მინისტრის ბრძანებასთან.
- მოდულებში „შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში“, პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში“, ბავშვის განვითარების თავისებურებები“, ადრეული განათლების კურიკულუმები“, დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში“, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში“, ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში“ - გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი მინისტრის ბრძანებით გაწერილი არაა, როდესაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მოდულებში გაწერილია.
- პროფესიული მოდულების დიდ ნაწილში საათობრივი დატვირთვა მოდულსა და სასწავლო გეგმაში მცირედით აცდენილია ერთმანეთისგან.
- უცხოური ენის მოდულში დამოუკიდებელი საათები გაზრდილია და არ არის თანხვედრაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან, თუმცა სასწავლო გეგმით გაწერილია ის საათობრივი დატვირთვა, რასაც ითვალისწინებს მინისტრის ბრძანება.
- სასურველია მოდულის „ქართული ენა B1“ აღჭურვილობაში გაიწეროს აუდიო აღჭურვილობა.
- გაცნობითი პრაქტიკის მოდულში საათობრივი დატვირთვა არ არის თანხვედრაში არც სასწავლო გეგმასთან და არც მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან.

შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამაში შევიდეს ცვლილება და გასწორდეს არსებული შეუსაბამობები.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. სასწავლო გეგმის შეფასებისას გამოიკვეთა რამდენიმე შეუსაბამობა, რომელიც საჭიროებს კორექტირებას:

- გაცნობითი პრაქტიკის მოდულში საათობრივი დატვირთვა არ არის თანხვედრაში არც სასწავლო გეგმასთან და არც მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან;
- პროფესიული მოდულების დიდ ნაწილში საათობრივი დატვირთვა მოდულსა და სასწავლო გეგმაში მცირედით აცდენილია ერთმანეთისგან. ასევე, დამოუკიდებელი

საათების ნაწილში, სასურველია შესაბამისობაში მოვიდეს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

2. დირექტორის 2022 წლის 02 მაისის N01/35 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფი. წარმოდგენილია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ანგარიში, რომლითაც კოლეჯის დირექტორისთვის ერთი წლის შემდეგ 2023 წლის 15 მაისს, წარდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნა. აღნიშნული დასკვნით ირკვევა, რომ შემოწმდა შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები 9 მოდულის ფარგლებში. გადამოწმდა გამოყენებული ინსტრუმენტის და შეფასების პროცესის განხორციელების დეტალები დაინტერესებულ პირებთან გასაუბრებით. ასევე, მოეწყო შედეგების გაცნობის მიზნით დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა, გაიმართა დისკუსია რეკომენდაციების განხილვისა და შეთანხმების მიზნით. გამომდინარე იქიდან, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნა ერთი წლის შემდეგ არის წარდგენილი, რეკომენდებულია დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს ვადა ანგარიშის და დასკვნის წარსადგენად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად ეთანხმებოდა ექსპერტთა დასკვნას, ასევე, გაითვალისწინებდნენ შესაბამისობისა და განმავითარებელ რეკომენდაციებს, რომლებიც გაიცა. მისი თქმით, დაწესებულებამ სსიპ განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილი იყო იდენტიფიცირებული პრობლემები, აქტივობების დაწყებისა და დასრულების თარიღები, შემსრულებლები, ჩართული მხარეები, მტკიცებულებები და რესურსები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიას(ს/კ: 420002026) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს საზოგადოებრივ

კოლეჯ ზუგდიდის აკადემიასმიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 1).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 29 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით. ჩაინიშნოს მონიტორინგი 3.1. კომპონენტში, მე-4 სტანდარტის ორივე კომპონენტში (4.1. და 4.2. კომპონენტები), ასევე 5.2. კომპონენტში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ 2.2. და 2.4. კომპონენტებში. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 15 მარტი. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

მარიამ ქუჩულორიამ დატოვა საბჭოს სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფებს, მეორე და მესამე საკითხები შეჯამებულად წარედგინათ.

მეორე საკითხი: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის "საექთნო საქმის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

მესამე საკითხი: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის "აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჭუჭულაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პრეზენტაციას წარადგენდა თავად, დარგის ექსპერტებთან ერთად.

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილეს სტანდარტის თითოეული კომპონენტი. დაწესებულებაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 21 აგვისტოს No1015468 და No1015472 ბრძანებების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში, დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის "ბ.ბ" კომპონენტის შესაბამისობის შემოწმების მიზნით (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა).

ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას სურს „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 160 პროფესიულ სტუდენტამდე (60 პროფესიული სტუდენტით გაზრდა). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზეზს წარმოადგენს აღნიშნული პროგრამით აპლიკანტების მხრიდან განსაკუთრებით დიდი დაინტერესება. ამჟამად კოლეჯს პროგრამაზე გამოცხადებული აქვს 21 ადგილი და დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების დროს უკვე რეგისტრირებული იყო 60 აპლიკანტი. ამასთან, მაღალია დასაქმების მაჩვენებელი აღნიშნულ პროგრამაზე. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით კოლეჯს დამატებით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორ პრაქტიკის ობიექტთან და 15 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია.

ექსპერტის განცხადებით, „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას სურს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 160 პროფესიულ სტუდენტამდე (80 პროფესიული სტუდენტით გაზრდა). დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამა ავტორიზაციის გზით მიმდინარე წლის აპრილში დაიმატა და დაგეგმილი ჰქონდა აღნიშნული კვოტა - 80 გაენაწილებინა ორ წელზე. თუმცა აპლიკანტების განსაკუთრებულმა დაინტერესებამ გამოიწვია გამოცხადებული ადგილების სრულად შევსება და კვლავ გრძელდება აპლიკანტთა რეგისტრაცია „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სტუდენტთა 'ზღვრული რაოდენობის გაზრდის ძირითად მიზეზს წარმოადგენს აღნიშნული პროგრამით აპლიკანტებისა და ბაღების გაერთიანებების მხრიდან განსაკუთრებით დიდი დაინტერესება. ამჟამად, კოლეჯს პროგრამაზე გამოცხადებული 80 ადგილიდან და დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების დროს უკვე რეგისტრირებული იყო 80 აპლიკანტი. ამასთან, მაღალია დასაქმების მაჩვენებელი აღნიშნულ პროგრამაზე. დამსაქმებლებთან, ბაღების გაერთიანებებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ აღმზრდელის პროფესია ძალიან მოთხოვნადია რეგიონში. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით კოლეჯს დამატებით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანებასთან და 6 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

ექსპერტის განცხადებით, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2023 წლის 25 აგვისტოს განხორციელდა ვიზიტი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში (მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. No80). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე განიხილა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო საქმე
დაწესებულებაში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ვიზიტის დროს მოხდა „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შემოწმება (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები პროგრამასთან და ინოვაციურ სწავლებასთან დაკავშირებით, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურადაა ჩართული სწავლის პროცესში, მუდმივად ეცნობა პროგრამის შიდა და გარე შეფასების მონიტორინგის შედეგებს და პროგრამის სრულყოფის მიზნით ახდენს რეაგირებას ამ შედეგებზე. ამოწმებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აგვარებს პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზაციულ საკითხებს. ესწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად არჩევითად მეცადინეობებს, ამოწმებს სტუდენტთა პრაქტიკულ მოდულებს პრაქტიკის ობიექტებზე. აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, ორგანიზებას უწევს კალენდარული გეგმების მომზადებას, სასწავლო ლიტერატურის და მასალა-რესურსების შეძენა-განახლებას, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებს, ადამიანური რესურსის განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე (კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), მოხდა მასთან გასაუბრება, რის შედეგადაც, დადგინდა, რომ პროგრამას ხელმძღვანელობს ექიმი გინეკოლოგი. და ის არ არის დარგის სპეციალისტი, ამდენად დაწესებულებას მიეწოდა რეკომენდაცია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, მას პროგრამისათვის ეხელმძღვანელა დარგის სპეციალისტთან - ექთანთან ერთად. დაწესებულებამ ვიზიტის პროცესშივე წარმოადგინა ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის თანახელმძღვანელად კვალიფიციური ექთნის დანიშვნის შესახებ, რომელიც ასევე არის პროფესიული განათლების მასწავლებელი ამავე პროგრამაზე.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში "საექთნო საქმე", მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ. ფოსტაზე გაგზავნის გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის No01/29 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში“ გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. კოლეჯს აქვს მზაობა მათ მისაღებად, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; მათთვის სასწავლო პროცესი წარიმართება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით, თუმცა ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს.

წინა ვიზიტის შედეგად ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია „სასურველია დაწესებულების ადმინისტრაციამ გადახედოს ბიუჯეტის ხარჯებს და შეიტანოს ისეთი მნიშვნელოვანი მუხლი, როგორიცაა პროგრამის/განმახორციელებელი პირების განვითარებისთვის გასაწევი ხარჯები“. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია მუხლი პერსონალის განვითარებისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია, პრაქტიკის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებებს თან ერთოდეს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნუსხა. განმავითარებელი რეკომენდაცია არ არის

შესრულებული. დაწესებულება თავის პოზიციაში მიუთითებს, რომ პრაქტიკის განხორციელებამდე ერთი თვით ადრე, მხარეებს შორის დგება შეთანხმება თუ რომელ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გაივლიან კოლეჯის პროფესიული სტუდენტები პრაქტიკას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის დაფიქსირებამდე ჰყავდა 24 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 6 ზოგადი და 18 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. მიმდინარე წლის ზაფხულში დაწესებულებამ ხელშეკრულება გააფორმა დამატებით 6 პროფესიულ მასწავლებელთან, ექვსივე მათგანი განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ როგორც ძველ, ასევე დამატებულ 4 ახალ პროფესიულ მასწავლებელსაც. დაწესებულების მიერ, ცენტრის მეშვეობით ექსპერტებისათვის მიწოდებული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტის თანხმად, არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და შეფასდა პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პერსონალის პირადი საქმეების შესაბამისობის საკითხი. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია პსდ-ის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა (მუხლი 6) და „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის განხორციელების და შეფასების წესში (მუხლი 8), რომელთა თანახმად „კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი ან პროფესიული განათლების მე-5 საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი პირი, ან უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი , რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება“.

ექსპერის განცხადებით, წინა ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში და სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს პირისთვის შესაბამისი ადმინისტრაციული პოზიციის შეთავაზება, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციით პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე არსებობს რისკი, რომ პირი ვერ ფლობდეს სრულყოფილად პროფესიისთვის საჭირო ყველა ცოდნასა და კომპეტენციას, ან განისაზღვროს უფრო ხანგრძლივი დროით სამუშაო გამოცდილება. ამასთან, პროგრამის განმახორციელებელი პირების ფუნქცია- მოვალეობები განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 28). აღნიშნული პუნქტით ასევე განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტის პუნქტებს შორის განსხვავებული ვადებია განსაზღვრული სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით. სასურველია კორექტირდეს და ერთნაირი მიდგომა ჩამოყალიბდეს სამუშაო გამოცდილების ვადებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნული განმავითარებელი რეკომენდაცია არ იყო შესრულებული. დაწესებულებამ დასკვნის

პროექტთან დაკავშირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ცვლილება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, სადაც რეკომენდაცია შესრულებულია.

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე (კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), პროგრამის ხელმძღვანელი არის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდოლოგიის კოორდინაციის ცენტრის ხელმძღვანელი. გასაუბრებისა და მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობითა და კოლეჯის რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესებში.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში აღმზრდელი, მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელ. ფოსტაზე გაგზავნის გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის No01/29 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში“ გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. კოლეჯს აქვს მზაობა მათ მისაღებად, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; მათთვის სასწავლო პროცესი წარიმართება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან.

ექსპერტის განცხადებით, „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით, თუმცა ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს. წინა ვიზიტის ფარგლებში ექპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია, სასურველია შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც ასევე აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ერთგვაროვანს გახდის პსდ-ს მიდგომას, პროგრამის ბიუჯეტისთვის ხარჯების იდენტიფიცირება- პროგნოზირებას. ამ ეტაპზე განმავითარებელი რეკომენდაცია შესრულებული არ არის. დაწესებულება დასკვნის პროექტთან დაკავშირებულ საკუთარ პოზიციაში აღნიშნავს, რომ იმსჯელებს რეკომენდაციის შესახებ და მიიღებს გადაწყვეტილებას შეიმუშაოს ბიუჯეტის შედგენის წესი ექსპერტთა პოზიციის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, ჰქონდათ თუ არა გასაუბრება ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებთან.

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ მათ არ განუხორციელებიათ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების ინტერვიუირება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მსგავს რეგიონებში, სადაც არიან მჭიდროდ დასახლებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტებმა მათი ინტერვიუირება განახორციელონ, რათა გამოარკვიონ მათი მოსაზრებები და ასევე ქართული ენის ცოდნის დონეც. მან ურჩია ექსპერტებს ასეთი პრაქტიკის გამოყენება პროგრამებზე, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები სწავლობენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯი ბოლო დროს ძალიან პოპულარული გახდა რეგიონში. მისი განმარტებით, მსურველთა მომართვიანობამ და ზემოთხსენებული პროგრამების მოთხოვნამ ორჯერ გადააჭარბა კოლეჯში აღნიშნულ პროგრამებზე არსებულ კვოტას. ნატალია ბარათელმა, ასევე, მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს თხოვნით, თუ იქნებოდა შესაძლებელი გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2023 წლის 20 სექტემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიიღო მხედველობაში აღნიშნული თხოვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს (ს/კ: 405337880) დანართით განსაზღვრულ „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 160 - ით **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 20 სექტემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის ,,აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს (ს/კ:206156817) დანართით განსაზღვრულ ,,აღმზრდელის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 160 - ით **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 20 სექტემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:26 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
ბოლქვაძე ტიტე

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, შ. კიტიას N9
პროგრამის განხორციელების ფორმა	იმიტირებული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

პროგრამის სახელწოდება	ფრჩხილის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, შ. კიტიას N9
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	51
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, შ. კიტიას N9
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ზუგდიდი, შ. კიტიას N9
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	160
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	160
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146